სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გენერალური აუდიტორი

№ 008322/10

14/12/2023

სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად გაცემის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში კანონიერების, საჯაროობის, გამჭვირვალობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და შეუფერხებლად გაცემას.

ამ მიზნით სამსახური საქმიანობას 3 მიმართულებით წარმართავს:

პირველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე (www.sao.ge), გარკვეული პერიოდულობით, სისტემატურად ქვეყნდება სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციები: სხვადასხვა დროს ჩატარებული ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებები, დასკვნები კანონპროექტებზე, რომლებიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტს და აგრეთვე აუდიტის სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიში. აღნიშნული მასალა საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მეორე: საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სხვადასხვა ადრესატისგან – მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 20 მოთხოვნა, საიდანაც დაკმაყოფილდა – 15 მოთხოვნა (გაცემული ინფორმაციის მოცულობამ შეადგინა 63 ფურცელი (მატერიალური სახით)) და 1 ელექტრონული ფაილი). აქედან, 11 შემთხვევაში ინფორმაცია გაიცა ელექტრონული ფორმით. საჯარო ინფორმაციის გაცემისას სამსახური ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

დანარჩენ 5 მოთხოვნასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია არ გაცემულა, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

- · მოთხოვნილი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ ინახებოდა – 1 შემთხვევა;
- · მოთხოვნილი ინფორმაცია აუდიტთან დაკავშირებით არ იქნა გაცემული, რადგან სამსახურში ასეთი აუდიტი არ ჩატარებულა – 3 შემთხვევა;
- · მოთხოვნილი ინფორმაცია აუდიტთან დაკავშირებით არ იქნა გაცემული, რადგან შემოწმების მასალებს ადევს გრიფი „საიდუმლო“ – 1 შემთხვევა.

ამასთანავე, ზემოთ მითითებულ 5 შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნის არდაკმაყოფილებისას, სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ეცნობათ დაინტერესებულ ადრესატებს.
აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა გასაჩივრებული. შესაბამისად, სამსახურის არც ერთ საჯარო მოხელეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, არ დაჰკისრებია რაიმე სახის დისციპლინური სახდელი, ასევე არ ყოფილა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.

მესამე: რაც შეეხება საჯარო მონაცემთა ბაზებისა და სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება-დამუშავებას, აღნიშნული მიმართულებით, ელექტრონული პროგრამის ფარგლებში საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ადმინისტრაციის საორგანიზაციო და პროტოკოლის სამსახური. აღნიშნულ საქმიანობას ასევე ახორციელებდა პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც 2023 წლის 1 სექტემბრიდან უწყებრივად დაექვემდებარა სსიპ – ანტიკორუფციულ ბიუროს.

სამსახურში საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი